დ ა ს კ ვ ნ ა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტის მარიამ ამბროლაძის სამაგისტრო ნაშრომთან - **„ბიზნესდავების განხილვის პროცედურები და სამართალწარმოების პრაქტიკული ანალიზი (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)“- დაკავშირებით**

მარიამ ამბროლაძის სამაგისტრო ნაშრომი საბაზრო ეკომომიკის პირობებში, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას - ბიზნესდავების განხილვის პროცედურებს და სამართალწარმოების პრაქტიკული ანალიზს (თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს) ეხება.

როცა „საქონელს ეროვნება და სამშობლო არ აქვს“ და სხვადასხვა ქვეყნის საქონელი გადაკვეთავს ხოლმე სხვა ქვეყნის ეკონომიკურ საზღვრებს და ერთვება გლობალურ სავაჭრო მიმოქცევაში, ბუნებრივია ამ შემთხვევაში კონკურენცია და რისკი ბიზნეს-ოპერატორების მხრიდან სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპის - კონკურენციის პრინციპის დარღვევისა სამწუხაროდ არც თუ ისე იშვიათია და ამაზე მეტყველებს არც თუ ისე მცირერიცხოვანი სასამართლო დავები (როგორც საქართველოს სასამართლოებში, ასევე საერთაშორისო საარბიტრაჟო დავები სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესს შორის). სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელი არის კონკურენციის წესრიგი. სახელმწიფო წესრიგის პოლიტიკას აქვს ამოცანა, უზრუნველყოს ფუნქციური კონკურენციის საჭირო სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობები.

სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა, პრივილეგიების გარეშე უზრუნველყოს თავისუფალი და პატიოსანი კონკურენციის არსებობა, ბიზნესისათვის თავისუფალი სივრცის შექმნა და სხვა, რათა მათ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადონ გადასახადები და იფუქციონირონ თავისუფალ კონკურენტუნარიან გარემოში. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არც თუ იშვიათია გადასახადებისაგან თავის არიდება, საბაჟო საზღვრის გადაკვეთა კონტროლს დაქვემდებარებული საქონლით, ან კიდევ განუბაჟებელი საქონლის გადაადგილება ქვეყნის საბაჟო საზღვარზე და სხვა, რაც იწვევს სახელმწიფოს მხრიდან იძულებითი სამართლებრივი ბეერკეტების ამოქმედებას ბიზნესის მიმართ.

ბიზნესდავებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა სამართლებრივი კვლევის იდეა კი უკავშირდება ამ კატეგორიის დავებზე ატუალური და ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტული საკითხების წარმოჩენას.

ბიზნესსა და სამართალს შორის ჰარმონიული დამოკიდებულება განსაზღვრავს ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის წარმატებას ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც. ბიზნესსაქმიანობისას დავის წარმოშობის შემთხვევაში, საქართველოს მეწარმე და აარა მარტო მას, უცხოელ ინვესტორსაც შეუძლია ისარგებლოს დავის გადაწყვეტის ეფექტიანი საშუალებებით, სახელმწიფოს როლი კი ამ საქმეში პოზიტიური ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაა, რაც ბიზნესმენთა სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალებების შექმას გულისხმობს.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია სახელმწიფოში არსებობდეს მეწარმე სუბიექტების დაცვის ნათლად ჩამოყალიბული და განჭვრეტადი საკანონმდებლო ბაზა, აგრეთვე სტაბილური სასამართლო პრაქტიკა როგორც სასამართლო, ისე არასასამართლო (მედიაცია, არბიტრაჟი) საშუალებები.

მაგრამ ამ კუთხით ჯერ კიდევ არის სერიოზული გამოწვევები, ბიზნესდავები სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესმენთა მიმართ და პირიქით. სწორედ ამ პრობლემის სწორი ხედვით და პრობლემის გადაჭრის ავტორისეული მიდგომით წარმოაჩინა მარიამ ამბროლაძემ თავისი სამაგისტრო ნაშრომი -

ბიზნესდავების განხილვის პროცედურები და სამართალწარმოების პრაქტიკული ანალიზი (თეორიული და პრაქტიკული ასპექტებით).

ავტორის აღნიშნული თემით დაინტერესება გამოიწვია იმ ფაქტორმაც რომ: დღესდღეობით საქართველოში ბიზნეს დავების განხილვისას ჯერ კიდევ ადმინისტრაციულ ორგანოში საქმეთა განხილვის ამ ეტაპზე ხშირად გადასახადის გადამხდელი ბიზნეს სუბიექტები აწყდებიან რიგ პრობლემებს, რაც ავტორის აზრით კიდევ უფრო აქტუალურს ხდის თემას და იწვევს დავების განხილვის პროცედურების სამართლიანი შესწავლის აუცილებლობას. გარდა ამისა, ქართულ კანონმდებლობაში დღემდე მწვავეა ბიზნესდავების დროს საგადასახადო გადამხდელისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხები, გადასახადებისაგან თავის არიდების დროს კომპანიისა თუ დირექტორის/პარტნიორის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების არსებობა, რომელიც აწესებს გადასახადის გადამხდელისათვის მკაცრ სანქციას პატიმრობის სახით ან ქონების კონფისკაციის სახით, რომელიც ხშირად მნიშვნელოვნ ზიანს აყენებს არა მარტო ბბიზნესს, არამედ ბიუჯეტსაც, ასევე სახელმწიფოს ეკონომიკას, ისე თავად გადასახადის გადამხდელსაც. აქტუალურია საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მთელ რიგ სავაჭრო ურთიერთობებს, მათ შორის ამ ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ დავებს, რომელიც სტრატეგიული პარტნიორებისა და ევროპულ გზაზე სვლის პროცესში არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ქართული კანონმდებლობის მიხედვით და კომპლექსურად უნდა გამოიყენებოდეს თავად DCFTA-ისა და ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, რათა თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი ორაზროვნება თუ გაუგებრობა, რამაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობას, - ასკვნის მაგისტრანტი.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზნად ავტორს მიაჩნია პასუხი გასცეს თემაში წამოჭრილ მთავარ კითხვას განხილული თემის ძირითად საკითხებზე, თუ რომელი სამართალდარღვევები ხდება ბიზნესდავების შესახებ წარმოების დაწყების საფუძველი, რა ეტაპი უნდა გაიაროს დავამ საბოლოო გადაწყვეტამდე, რა ხარვეზებს ვაწყდებით ბიზნესდავების განხილვის პროცესში როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული განხილვის ეტაპზე, როგორ და რა შემთხვევაში ხდება სასამართლოში ბიზნე დავების განხილვა და როგორია ამ მხრივ საქართველოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა.

ნაშრომი შეიცავს სიახლეებს და განსხვავებულია უკვე ამ კუთხით დამუსავებული ნაშრომებისგან. კერძოდ, ავტორი კვლევისას ბიზნესდავების სამართლებრივი მოწესრიგების საკითხებზე მთელ რიგ რეკომენდაციებს გვთავაზობს.

ნაშრომში განხილულია არამარტო ქართული კანონმდებლობა, არამედ ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების ის ნორმები, რომელიც ბიზნესდავებს ეხება, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის არსებული სტანდარტი ბიზნესდავების განხილვის პროცესში და წარმოებული სტატისტიკა, ევროპული ქვეყნების, ევროპული სასამართლოს და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი პრაქტიკა.

ავტორს წინამდებარე თემის საგნად მიაჩნია სხვადასხვა ქვეყანაში, მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობაში მოდის შიდასამართლებრივ ნორმებთან, იგი დასაბუთებულად მიიჩნევს, რომ მსოფლიო ქვეყნების შიდა რეგულაციები და პრაქტიკულ-სტატისტიკური მაჩვენებლები ხშირ შემთხვევაში პირდაპირ ან ირიბად არღვევს დადგენილ საერთაშორისო ნორმებს, სტანდარტებს და ხელშეკრულებებს.

ნაშრომში ფუნდამენტალურადაა ნაკვლევი ბიზნესდავების სამართლებრივი მოწესრიგება და როლი სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესში; ბიზნესსუბიექტების საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა; ბიზნეს დავების სამართალწარმოების პრაქტიკა და სხვა აქტუალური საკითხები.
ნაშრომის დასკვნით ნაწილში საინტერესოდაა წარმოდგენილია კვლევის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები.

საკმაოდ შთამბეჭდავია ბიბლიოგრაფიაც, სადაც წარმოდგენილია როგორც ეროვნული, ასევე უცხოენოვანი ლიტერატურის კვლევა, სამეცნიერო ნაშრომები, საერთაშორისო აქტები და ა. შ.

სტუდენტი ნაშრომში დასაბუთებულად ავითარებს მოსაზრებას იმის შესახებ, საკვლევ საკითხებზე მეცნიერების, სპეციალისტების და ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევების მიუხედავად, ძველებურად დღის წესრიგში ისევ მრავალი პრობლემა არსებობს, რაც გამოიხატება იმაში, რომ საკანონმდებლო ბაზის სიმცირის გამო ხშირია დისკუსია და შეუთანხმებელი დამოკიდებულება ბიზნესდავების სასამართლო თუ არასასამართლო გზებით დავის გადაწყვეტისას; ასევე, დასახვეწია ნორმატიული ბაზაც ამ კუთხით, რამეთუ, აქ არსებული ხარვეზები, გარკვეული პრობლემების შემქმნელია ბიზნესდავების განხილვის კუთხით, რომელიც სერიოზულ პრობლემებს უქმნის ჯანსაღი ბიზნესის განვითარებას და ვმოს მონაწილე მხარეებისათვის ღირსეული, კონკურენტუნარიანი ბაზრის შექმნას.

ნაშრომის ძლიერ მხარედ მივიჩნევ იმას, რომ მასში დეტალურადაა შესწავლილი და განხილული წინამდებარე საკითხი თეორიულ და პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით, განხილულია არსებული რეგულაციები და საკანონმდებლო ბაზა, რომლებმაც შედარებით კიდევ უფრო წარმოაჩინა ამჟამინდელი მდგომარეობა წინა წლებთან მიმართებით. წინამდებარე ნაშრომში განზოგადებულია ის პრობლემები, რაც წამოიჭრა კონკრეტული დავის საქართველოს სამართლებრივ სისტემასთან შეხების სხვადასხვა ეტაპზე.

ნაშრომი ნაკვლევია არა მარტო ქართველ მეცნიერთა მონოგრაფიებსა თუ სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით, ასევე ანალიზია გაკეთებული უცხოური სამეცნიერო ნაშრომებისა, მოცემულია არა მარტო ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ასევე გაანალიზებულია უცხოური სასამართლო პრაქტიკაც და ნაშრომში არის მცდელობა ანალიზის გაკეთებისა ბიზნესდავების არასასურველი გადაწყვეტისას ამ გადაწყვეტილების უარყოფით ზეგავლენაზე არა მარტო ცალკეული ქვეყნების, არამედ მთლიანად მსოფლიო ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით და ავითარებს მოსაზრებას, რომ ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები ამ კუთხით; ასევე წარმოჩენილია საკანონმდებლო აქტებში

არსებული ხარვეზები, რომლებიც გარკვეული დამაბრკოლებელია ქვეყნების საბაჟო საზღვრებზე საქონლის თავისუფალი გადაადგილებისა, ყოველგვარი საბაჟო თუ საგადასახადო ბარიერების გარეშე.

მრავალფეროვანია სტუდენტის მიერ გამოყენებული ლიტერატურის თუ ნორმატიული აქტების სიმრავლე, საინტერესოა სასამართლო პრაქტიკის ანალიზიც ამ კუთხით.

ცხადია მაგისტრანტის ნაკვლევი თემა გარკვეულ შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამ მხრივაც საყურადღებოა სამაგისტრო კვლევა, რამეთუ აღნიშული პრობლემები, რომლებსაც სტუდენტი შეეხო ნაშრომში ნაკლებადაა ნაკვლევი მეცნიერების მიერ და ამ მხრივ ნაშრომი უდავოდ წარმოადგენს სიახლეს და განსხვავდება უკვე არსებული ნაშრომებისგან იმ მხრივ, რომ კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები, ბიზნესდავების განხილვის კუთხით ამ მხრივ არსებული პრობლემების ახსნის, გაგების, განმარტების და გადაწყვეტის თაობაზე მთელ რიგ დასკვნებს და რეკომენდაციებს მოიცავს.

ნაშრომში განხილულია არა მარტო ქართული, არამედ მოცემულია უცხოური სასამართლო პრაქტიკის ანალიზიც, რასაც დარწმუნებული ვარ შემოქმედებითად წარმოადგენს ავტორი.

ნაშრომი უდავოდ მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული და იგი მზადაა სარეცენზიოდ გადასაცემად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ია ხარაზი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საჯარო სამართლის მიმართულების მოწვეული პროფესორი